

*კონტექსტის როლი პოლისემანტური სიტყვის მნიშვნელობების, და ზოგადად სიტყვის მნიშვნელობის გამოვლენისა და გახსნისათვის*  
*კონტექსტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ინგლისური პოლისემანტური სიტყვებისათვის, ინგლისური ენის ანალიზური სტრუქტურის გამო სხვადასხვა თეორიები კონტექსტისა და მისი როლის შესახებ*

*სემანტიკური კავშირების ტიპები პოლისემანტური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს შორის*  
*სიტყვის თავისუფალი მნიშვნელობები, ლექსიკურად და სინტაქსურად განპირობებული მნიშვნელობები*

როგორც აღინიშნა, პოლისემანტური სიტყვების შესწავლის დროს მნიშვნელოვანია იმ სისტემური ენობრივი საშუალებების გამოვლენა, რომლებიც ახდენენ ცალკეული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების დიფერენციაციასა და რეალიზაციას. ასეთ საშუალებად გვევლინება **სემანტიკური კონტექსტი**. მაშასადამე, კონტექსტი არის პოლისემანტური სიტყვების ცალკეული მნიშვნელობების დიფერენციაციისა და რეალიზაციის აუცილებელი პირობა. კონტექსტის როლი არ არის ერთნაირი სხვადასხვა ენებში. მისი შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისური ენისათვის, სადაც სიტყვები სემანტიკურად და გრამატიკულად უფრო მეტად არიან დამოკიდებული კონტექსტზე ინგლისური ენის ანალიზური სტრუქტურის გამო. **კონტექსტი არის სემანტიკურად სარეალიზაციო სიტყვის შეერთება, შეკავშირება მისი მნიშვნელობის დიფერენციაციისა და მანიფესტაციისათვის საჭირო მინიმუმთან, ე.წ. საკვანძო სიტყვასთან.**

მაგ.: thick forest, thick hair, thick darkness არის ის მინიმალური კონტექსტები, რომელიც საჭიროა პოლისემანტური სიტყვის **thick** მნიშვნელობების „ხშირი (ტყე, თმა)“, „თვალშეუვალი, უკუნი (სიბნელე)“ რეალიზაციისათვის. აღნიშნულ კონტექსტებში thick არის სემანტიკურად სარეალიზაციო სიტყვა, ხოლო forest, hair, darkness საკვანძო სიტყვები.

**კონტექსტოლოგიური მიმართულება** ენათმეცნიერებაში დაკავშირებულია ინგლისელი მეცნიერის ჯ. ფერთის (J. Firth) სახელთან, რომელმაც პირველმა შემოიტანა ენათმეცნიერებაში კონტექსტის ცნება და პირველმა მიაქცია ყურადღება სიტუაციური მიმართებების მნიშვნელობას სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სრული გახსნისათვის.

*Firth J.R. Papers in Linguistics. London. New York. Toronto: Oxford University Press, 1958.*  
*Selected Papers of J.R. Firth, edited by F.R. Palmer. London. Harlow: Longmans, 1968.*

აღიარებდა რა კონტექსტის განსაკუთრებულ როლს, ჯ. ფერთი მიიხსენებდა, რომ **სიტყვის მნიშვნელობა მთლიანად განპირობებულია იმ სიტუაციის კონტექსტით, რომელშიც სიტყვა იხმარება.**

კონტექსტის ამგვარი გაგება გამორიცხავდა თავად სიტყვის კონცეპტუალურ მნიშვნელობას, რაშიც მდგომარეობს ჯ. ფერთის კონტექსტოლოგიური თეორიის ნაკლი. ამის გამო მისი თეორია შემდგომში გააკრიტიკეს ჯონ ლაიონზმა, ფ. პალმერმა, ს. ულმანმა და სხვებმა.

რიგი ენათმეცნიერებისა (მაგ. ანტალი, პალმერი) თვლის, რომ კონტექსტი მთლიანად განპირობებულია სიტყვის ინდივიდუალური სემანტიკით, და ამდენად მეორადია მასთან მიმართებაში.

სიტყვის მნიშვნელობის განხილვა მისი სინტაგმატური მიმართებებისაგან დამოუკიდებლად ისეთივე უკიდურესობაა, როგორც ჯ. ფერთის ზემოთმოყვანილი თეორია.

მაშასადამე, სიტყვის კონტექსტი განსაზღვრულია მისი სემანტიკით, მაგრამ მეორეს მხრივ არ შეიძლება სიტყვის სინტაგმატური მიმართებების მნიშვნელობის უარყოფა.

კონტექსტის ამგვარი გაგება ფართოდ დაინერგა ენათმეცნიერებაში და იგი ეფუძნება სიტყვის მნიშვნელობისა და მისი კონტექსტის მჭიდრო ურთიერთმიმართების და ურთიერთგანპირობებულობის აღიარებას.

სემანტიკური კონტექსტის სტრუქტურაში გამოიყოფა შემდეგი კომპონენტები:

1. სემანტიკურად სარეალიზაციო სიტყვა;
2. ლექსიკური მინიმუმი, საკვანძო სიტყვა, რომელიც საჭიროა სიტყვის მნიშვნელობის დიფერენციაციისა და რეალიზაციისათვის;
3. სემანტიკური (სიღრმისეული ლექსიკური) კავშირის მოდელი;
4. სინტაქსური კავშირის მოდელი.

კონტექსტი შეიძლება იყოს მუდმივი და ცვლადი.

**მუდმივ კონტექსტში** ლექსიკური მინიმუმი მუდმივია და ვარირების საშუალებას არ იძლევა.

მაგ.: **to go** ზმნის მნიშვნელობა *წილის ქონა (აქვს); ვინმესთან რისაზე გაყოფა* რეალიზდება მუდმივ კონტექსტში *to go halves რისაზე თანაბრად / შუაზე გაყოფა*; მნიშვნელობა *ამა თუ იმ თანხის დადება (დადება)*

რეალიზდება მუდმივ კონტექსტში *he went a hundred dollars მან ასი დოლარი დადო*

**ცვლად კონტექსტში** ლექსიკური მინიმუმი უშვებს მეტ-ნაკლებ ვარირებას ერთი და იმავე სემანტიკური შედეგის პირობებში.

მაგ.: (thick) soup, porridge, etc მნიშვნელობისათვის „სქელი (წვნიანი)“

(thick) mist, fog, smoke, etc მნიშვნელობისათვის „მსუბუქი (ნისლი და ა.შ.)“

(little) cat, dog, house, etc მნიშვნელობისათვის „ზომით პატარა“.

კონტექსტი შეიძლება იყოს ლექსიკური და სინტაქსური.

**ლექსიკურ კონტექსტში** სემანტიკური მითითება მოდის კონტექსტში შემავალი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობიდან.

**სინტაქსურ კონტექსტში** კი სემანტიკური მითითება მომდინარეობს როგორც სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობიდან, ისე კონტექსტში შემავალი სიტყვების სინტაქსური კონსტრუქციიდან.

ქვემოთ მოტანილია ზმნა **to go**-ს მნიშვნელობები, რომლებიც ლექსიკურ კონტექსტში რეალიზდება.

**go** 1. სვლა (მიდის), სიარული; to go slowly [quickly] ნელა [სწრაფად] სიარული; to go upstairs [downstairs] კიბეზე ასვლა [ჩასვლა]; 2. სადმე / საითკენმე წასვლა (წავა), გამგზავრება; to go to the window ფანჯარასთან მისვლა; to go on a journey სამოგზაუროდ წასვლა; to go for a ride / a drive / სასიარულოდ წასვლა (ცხენით, ველოსიპედით, ავტომობილით); to go for a walk სასიარულოდ წასვლა (ფეხით); let's go for a swim მოდი, საცურაოდ წავიდეთ; the bus goes to London ავტობუსი ლონდონში მიდის; to go to a meeting კრებაზე წასვლა; to go on a visit სტუმრად წასვლა; to go to a party წვეულებაზე წასვლა; 3. 1) მგზავრობა (მგზავრობს), (ტრანსპორტის) ამა თუ იმ საშუალებით სადმე წასვლა; to go by land [by water] ხმელეთით [ზღვით] მგზავრობა; to go by air თვითმფრინავით მგზავრობა / წასვლა; to go by train მატარებლით მგზავრობა; 4. 1)

საიდანმე წა'მო'სვლა (წა'მოვა), გა'მო'მგ'ზავრება; we came at six and went at nine ჩვენ ექვს საათზე მივედი და ცხრაზე წამოვედი იქიდან; it is time for us to go ჩვენი წასვლის / გამგზავრების დროა; the guests are all gone ყველა სტუმარი უკვე წასულია; 2) გასვლა (გავა), გამგზავრება; the train goes from platform 5 მატარებელი მესუთე ბაქნიდან გადის; 5. მოძრაობა (მოძრაობს); I'd prefer to sit the way the train is going მატარებლის მოძრაობის მიმართულებით მირჩევნია ჯდომა; 6. მუშაობა (მუშაობს), მოქმედება, ფუნქციონირება; my watch is going too fast [slow] ჩემი საათი ძალიან წინ მიდის [უკან რჩება]; the engine went beautifully all day მანქანა მთელი დღე ჩინებულად მუშაობდა; the motor won't go მოტორი არ იქოქება; mails go slow ფოსტა ნელა მუშაობს; the engine goes by electricity ეს ძრავა ელექტროდენზე მუშაობს; my heart was going at a tremendous rate გული საშინლად მიცემდა; 7. ი გადაჭიმულია; mountains that go from east to west აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე გადაჭიმული მთები; the boundary goes along the river საზღვარი მდინარის გასწვრივ გადის; how far does the road go? სადამდე მიდის ეს გზა? this road goes to London ეს გზა ლონდონში მიდის;

ქვემოთ მოტანილია ზმნა **to go**-ს მნიშვნელობები, რომლებიც სინტაქსურ კონტექსტში რეალიზდება.

**go 1. to be going to do smth.** ი რისამე გაკეთებას აპირებს / რისამე გაკეთება აქვს განზრახული; I am going to speak to her მასთან დალაპარაკებას ვაპირებ; we were going to walk ფეხით წასვლას ვაპირებდით; she is going to have her own way აპირებს თავისი გაიტანოს; he is not going to be cheated იგი თავს არავის მოატყუებინებს; she felt she was going to be ill გრძნობდა, რომ ავად ხდებოდა; 2. **to go about smth. / doing smth.** / ი ამბ თუ იმ საქმიანობას ეწევა; ამბ თუ იმ საქმისათვის ხელის მოკიდება; to go about one's business ჩვეული საქმიანობისათვის ხელის მოკიდება; 3. **to go at smth.** რაიმესათვის ენერგიულად ხელის მოკიდება ('მო'ჭკიდებს); to go at a hard task ძნელი საქმისათვის ენერგიულად ხელის მოკიდება; 4. **to go in for smth.** ი რაიმეთა გატაცებული / რაიმეს მისდევს / რაიმე საქმიანობას ეწევა; to go in for sports ი სპორტს მისდევს; what hobby do you go in for? რა არის თქვენი ჰობი? what games do you go in for? რომელ სპორტულ თამაშებს თამაშობთ? 5. **to go at smb.** ი ვინმეს მივარდება, ეცემა, დაეძგერება; he went at me with his fists იგი მუშტებით მომვარდა; 6. **to go against smb.** ი ვისიმე წინააღმდეგ / ვისიმე საზიანოდაა მიმართული; fate goes against us ბედი არ გვწყალობს; it goes against me ეს ჩემს მრწამსს ეწინააღმდეგება; 7. **to go in with smb.** ვინმესთან გაერთიანება ('გა'ერთიანდება), ერთობლივად მოქმედება; 8. **to go beyond smth.** რისამე გადამეტება (გადაამეტებს) / გადაჭარბება; to go beyond one's orders საკუთარ უფლებამოსილებათა გადამეტება; 8. **to go into smth.** რისამე დეტალურად / დაკვირვებით შესწავლა (შეისწავლის) / რაიმეში ღრმად ჩაწვდომა; to go deeply into a question საკითხის ღრმად შესწავლა; to go into details / particulars / დეტალებზე ყურადღების გამახვილება; 9. **to go with smb.** 1) ვინმეს თანხლება (თან ახლავს) / ვინმესთან ერთად სადმე წასვლა; shall I go with you? გინდათ წამოგყვებით? 2) ი ვინმეს ეთანხმება; I can't go with you on that ამაში ვერ დაგეთანხმებით.

ლექსიკური კონტექსტი შეიძლება იყოს პირველი ხარისხის და მეორე ხარისხის.

**პირველი ხარისხის ლექსიკურ კონტექსტში** სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის საჭირო ლექსიკური მინიმუმი ერთი საკვანძო სიტყვითაა წარმოდგენილი (მაგ.: forest, hair, darkness) და კონტექსტის წევრებს შორის პირდაპირი სინტაქსური კავშირია.

**მეორე ხარისხის ლექსიკურ კონტექსტში** სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის საჭირო ლექსიკური მინიმუმი მრავალწევრიანია და სინტაგმის წევრებს შორის არ არის პირდაპირი სინტაქსური კავშირი (მაგ.: to be a **father** to smb. ვინმესთვის მამობის გაწევა;

butter **goes** better in the refrigerator კარაქი მაცივარში უკეთ ინახება).

## სემანტიკური კავშირების ტიპები პოლისემანტური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს შორის

პოლისემანტური სიტყვების ცალკეულ მნიშვნელობებს შორის ოთხი ტიპის სემანტიკური კავშირი არსებობს:

1. საერთო სემის მქონე ეკვიპოლენტური კავშირი (тождесемная эквиволентная связь);
2. საერთო სემის მქონე დეპენდენცია, დაქვემდებარებული კავშირი (тождесемная деппенденция);
3. საერთო სემის არმქონე ეკვიპოლენტური კავშირი (нетождесемная эквиволентная связь);
4. საერთო სემის არმქონე გაშუალებული დეპენდენცია, დაქვემდებარებული კავშირი (нетождесемная опосредованная деппенденция).

### 1. საერთო სემის მქონე ეკვიპოლენტური კავშირი (тождесемная эквиволентная связь).

ამ ტიპის კავშირი არსებობს მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის იმ მნიშვნელობებს შორის, რომლებიც ერთი და იმავე გამჭოლი სემის საფუძველზეა წარმოშობილი. ამ მნიშვნელობებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო სემანტიკური კომპონენტი (გამჭოლი სემა) და ტოლმნიშვნელოვანნი არიან.

მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **direct**-ის შემდეგ მნიშვნელობებს შორის:

1. direct – (a straight line) **being free from deviation in direction**
2. uninterrupted – (a straight flight) **being free from deviation in course**
3. consistent – (a straight thinker) **being free from deviation in some method**
4. fair, virtuous – (a straight man) **being free from deviation in dealings**

ამ მნიშვნელობებს აერთიანებს საერთო გამჭოლი სემა - **being free from deviation**, ისინი ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებული და თანაბარი სტატუსი აქვთ ერთმანეთის მიმართ.

მაგ.: ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **thick**-ის შემდეგ მნიშვნელობებს შორის:

1. dense, crammed  
*thick forest, thick hair, thick moustach*  
(**consisting of closely occupied, filled or set hair, trees**)
2. numerous, occurring in large numbers in a limited area  
*a thick crowd, thick throngs of young people*  
(**consisting of closely occupied, filled or set individuals**)
3. viscous in consistency  
*thick coffee, thick soup, thick greese*  
(**consisting of closely occupied, filled or set components of solid matter**)
4. having the component particles densely aggregated so as to hinder vision  
*thick fog, thick smoke, thick mist, the air was thick*  
(**consisting of closely occupied, filled or set component particles of mist, fog, smoke, etc**)

ამ მნიშვნელობებს აერთიანებს საერთო გამჭოლი სემა - **consisting of closely occupied, filled or set individual components** და ისინი თანაბარმნიშვნელოვანნი არიან.

## 2. საერთო სემის მქონე დეპენდენცია, დაქვემდებარებული კავშირი (тождесемная депенденция).

ასეთი კავშირი არსებობს მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის იმ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს შორის, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში ერთსა და იმავე სემანტიკურ კომპონენტს შეიცავენ. ამასთან, პირველ მნიშვნელობაში ეს სემანტიკური კომპონენტი პოტენციურია, მეორე მნიშვნელობაში კი ან გამჭოლი სემა ხდება და რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს წარმოშობს, ან მნიშვნელობის ერთ-ერთი წამყვანი სემანტიკური კომპონენტი ხდება. ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს შორის დაქვემდებარებული კავშირია, ვინაიდან ერთი მნიშვნელობა მეორის საფუძველზე წარმოიშობა.

მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **thick**-ის შემდეგ მნიშვნელობებს შორის:

1. heavily built, burly, muscular  
*thick shoulders, thick figure, thick arms*  
(*having relatively great bulk "from one surface to its opposite"*)
2. dense, crammed  
*thick forest, thick hair, thick moustach*  
(*consisting of closely occupied, filled or set hair, trees*)

ზედსართავი სახელის **thick** მნიშვნელობაში **heavily built, burly, muscular** („ჩაფსკვნილი“) გამოიყოფა სემანტიკური კომპონენტი: **being compact, consisting of closely occupied, filled or set individual components**, რომელიც წარმოშობს მნიშვნელობას **dense, crammed (consisting of closely occupied, filled or set hair, trees)**.

ამრიგად, აღნიშნულ ორ მნიშვნელობას აერთიანებს სემანტიკური კომპონენტი **being compact, consisting of closely occupied, filled or set individual components**. პირველ მნიშვნელობაში ეს კომპონენტი პოტენციურია, მეორე მნიშვნელობაში კი გამჭოლი სემა ხდება.

მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **father**-ის ძირითად მნიშვნელობასა და გადატანით მნიშვნელობებს შორის:

1. მამა (*being male parent human*);
2. ქომაგი / მფარველი, ვინც მამობას უწევს *ვინმეს (exercising protecting care towards smb, smth)*;
1. მამა (*being male parent human*);
2. *რისაზე* შემქმნელი, შემოქმედი (*being the founder, originator of smth*);
3. მამამთავარი, წინაპარი, ფუძემდებელი (*being the founder, originator of family, race*);

პირველ შემთხვევაში ძირითადი მნიშვნელობის პოტენციური სემა **exercising protecting care** წარმოშობს მნიშვნელობას **ქომაგი / მფარველი, ვინც მამობას უწევს ვინმეს (exercising protecting care towards smb, smth)**. ამიტომ ამ ორ მნიშვნელობას შორის არის საერთო სემის მქონე დეპენდენცია.

მეორე შემთხვევაში ძირითადი მნიშვნელობის პოტენციური სემა **being the founder, originator** გამჭოლი სემა ხდება და წარმოშობს მნიშვნელობებს **რისაზე შემქმნელი, შემოქმედი (being the founder, originator of smth)**; **მამამთავარი, წინაპარი, ფუძემდებელი (being the founder, originator of family, race)**.

ამ შემთხვევაშიც ზემოთმოყვანილი ორი მნიშვნელობა სიტყვა **father**-ის ძირითად მნიშვნელობასთან მიმართებაში დაქვემდებარებული კავშირით ხასიათდება.

### 3. საერთო სემის არმქონე ეკვიპოლენტური კავშირი (неождеcемная эквиволентная cвязь).

ამ ტიპის კავშირი არსებობს პოლისემანტური სიტყვის ეკვიპოლენტურ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს შორის. ეკვიპოლენტური მნიშვნელობები სიტყვის ძირითადი (ან იშვიათად გადატანითი) მნიშვნელობის ორი ან მეტი პოტენციური სემის საფუძველზე წარმოიშობა, ამიტომ ისინი თანაბარი სტატუსის არიან ერთმანეთთან მიმართებაში.

მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **narrow**-ს შემდეგ მნიშვნელობებს შორის:

1. of little breadth, not wide or broad  
(*having little breadth from side to side*)
2. of no great extent, confined, small  
(*being limited in spacial extent*)
3. restricted, not comprehensive  
(*being limited in scope*)
4. stingy, parsimonious, niggardly  
(*being close in expenditure*)
5. precise, careful, strict  
(*being close [meticulous on details] in search*)

**Narrow** ზედსართავი სახელის ზემოთმოყვანილი მნიშვნელობების წარმომშობი გამჭოლი სემები ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურიდან გამოიყოფა: მცირე განფენილობა ორ მხარეს შორის (*having little extent between the sides*); შეზღუდულობა, ჩაკეტილობა ორი მხრიდან (*being limited*); ორი მხარის ახლო მდებარეობა (*being near, close*).

მოცემული სემები წარმოშობენ **narrow** ზედსართავი სახელის ზემოთმოყვანილ მნიშვნელობებს, ამიტომ ისინი ეკვიპოლენტური, თანაბარმნიშვნელოვანნი არიან. ეკვიპოლენტურია მათ საფუძველზე აღმოცენებული მნიშვნელობებიც. ამასთან, აღნიშნულ მნიშვნელობებს არა აქვთ საერთო სემანტიკური კომპონენტი.

მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **father**-ს ჩვენს მიერ განხილულ გადატანით მნიშვნელობებს შორის.

1. ქომაგი / მფარველი, ვინც მამობას უწევს ვინმეს (*exercising protecting care towards smb, smth*);
2. რისაზე შემქმნელი, შემოქმედი (*being the founder, originator of smth*);
3. მამამთავარი, წინაპარი, ფუძემდებელი (*being the founder, originator of family, race*);
4. მამაზეციერი, ღმერთი (*showing / having loving care towards mankind*);
5. სულიერი მამა, მოძღვარი (*calling into spiritual being*).

ყველა ეს გადატანითი მნიშვნელობა წარმოშობილია სიტყვა **father**-ს ძირითადი მნიშვნელობის პოტენციური სემებიდან:

\* *being the founder, originator of*;

\* *calling into being*;

\* *exercising protecting care*;

\* *showing / having loving care*

ამდენად, მათ ერთნაირი სტატუსი აქვთ ძირითად მნიშვნელობასთან მიმართებაში, ეკვიპოლენტური ანუ ტოლმნიშვნელოვანნი არიან ერთმანეთის მიმართ, ამასთან აღნიშნულ მნიშვნელობებს არა აქვთ საერთო სემანტიკური კომპონენტი.

### 4. საერთო სემის არმქონე გაშუალებული დეპენდენცია, დაქვემდებარებული კავშირი (неождеcемная опосредованная деппенденция).

ამ ტიპის კავშირი არსებობს პოლისემანტიური სიტყვის იმ მნიშვნელობებს შორის, რომლებიც მნიშვნელობის გადატანის სხვადასხვა საფეხურზე წარმოიშობა და ამდენად ერთმანეთთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **thick**-ის შემდეგ მნიშვნელობებს შორის:

1. having relatively great extension between the opposite surfaces  
(*having relatively great extension between the surfaces*)
2. imperfectly articulated, muffled, guttural  
(*being indistinct in sounding*)
3. (of hearing) dull of perception  
(*being indistinct in hearing*)
4. obtuse, stupid  
(*being indisting in mind, understanding*).

ზედსართავი სახელის **thick** სემანტიკურ სტრუქტურაში 2, 3 და 4 მნიშვნელობა მნიშვნელობის გადატანის მესამე საფეხურზე წარმოიშობა (იხ. კიბისებური მოდელი, ლექცია 6). ეს მნიშვნელობები გაშუალებულადაა დაქვემდებარებული პირველ მნიშვნელობაზე, რადგან უშუალოდ მისი მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურიდან არ აღმოცენებულა.

2, 3 და 4 მნიშვნელობას ერთმანეთთან მიმართებაში ეკვიპოლენტური საერთო სემის მქონე კავშირი აქვს, ხოლო პირველ მნიშვნელობასთან მიმართებაში საერთო სემის არმქონე გაშუალებული დეპენდენცია.

მაგ. ამ ტიპის კავშირი არსებობს სიტყვა **round**-ის შემდეგ მნიშვნელობებს შორის:

1. circular  
(*being circular in shape*)
2. mellow, sonorous  
(*being full in resonance*)
3. presented with lifelike fullness and vividness  
(*being full in presentation*)
4. heavy, hard, severe  
(*being performed with a full swing*).

**Round** ზედსართავი სახელის 2, 3 და 4 ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი მნიშვნელობის გადატანის მეორე საფეხურზე წარმოიშობა (იხ. შერეული მოდელი). ამიტომ, მათ ძირითად მნიშვნელობასთან მიმართებაში საერთო სემის არმქონე გაშუალებული დაქვემდებარებული კავშირი აქვთ.